

## დანართი I: პროექტის კონცეფციის ბარათის ნიმუში

ეს ნიმუში გამოყენებულ უნდა იქნეს ნებისმიერი ინიცირებული პროექტისათვის. პროექტის კონცეფციის ბარათის დანიშნულებაა საჭირო ინფორმაციის წარმოდგენა შემოთავაზებული პროექტის შესახებ, რათა შეფასდეს მისი საჭიროება და შესაბამისობა. პროექტის კონცეფციის ბარათი საჭიროა ისეთი პროექტის განვითარებაზე რესურსების ხარჯვის თავიდან არიდებისათვის, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტრატეგიას/მიზნებს და სავარაუდოდ უარყოფილი იქნება. წინადადების შესაბამისობის გარდა, პროექტის კონცეფციის ბარათი წარმოადგენს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობებისა და პროექტის განხორციელების ვადებზე, ანუ პროექტის მართვის გეგმაზე. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა შეივსოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ნებისმიერი პროექტი, რომელიც ხორციელდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეშვეობით, წინასწარ შეფასებას გაივლის საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად:

1. სტრატეგიული ან საჯარო მნიშვნელობა: სტრატეგიული ნაწილი;
2. წინასწარი ეკონომიკური ზეგავლენა: ეკონომიკური ნაწილი;
3. სახელმწიფოს ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე ზეგავლენა: ფისკალური ნაწილი;

კანონქვემდებარე აქტი მოითხოვს შემდეგი ინფორმაციის წარდგენას:

- **პროექტის წინასწარი შეფასება (სტრატეგიული ნაწილი).** პროექტის კონცეფციის ბარათში მოცემული წინასწარი კვლევა ახდენს პროექტის საჭიროების იდენტიფიცირებას. პროექტის კონცეფციის ბარათი საშუალებას მისცემს საჯარო პარტნიორს რომ უზრუნველყოს და დაასაბუთოს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შესაბამისობა (1) საჯარო ინტერესთან; (2) სექტორის სტრატეგიულ პრიორიტეტთან (სახელმწიფო განვითარების სტრატეგია/გეგმასთან), ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ან/და აჭარის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ განსაზღვრულ განვითარების მიზნებთან; ან/და (3) იმ საჭიროებასთან, რომელიც არსებობს სერვისის მიწოდების არ ქონის

ან შეფერხების გამო, რისთვისაც საჯარო პარტნიორის მიერ იდენტიფიცირებულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის განხორციელების საჭიროება.

- **პროექტის ღირებულების წინასწარი შეფასება (ეკონომიკური ნაწილი).** ამ წინასწარი შეფასებით, სულ მცირე, უნდა გამოიკვეთოს პროექტის მასშტაბი, შინაარსი და მოთხოვნილი კაპიტალი მშენებლობისა და მოვლა-შენახვისათვის. შეფასება უნდა განიხილავდეს, ასევე, პროექტის მიერ შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას.<sup>19</sup>
- **შესყიდვის გზის წინასწარი შესწავლა როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობა.** ამ ნაწილით, სულ მცირე, უნდა მოხდეს ხარისხობრივი შეფასება კერძო და საჯარო სექტორის მონაწილეობის ბუნებისა და როლის შესახებ, როგორც კონცესიური ან არაკონცესიური თანამშრომლობა, სრული პროექტის ან სარგებლის განხილვის საფუძველზე. ბიზნეს ნაწილში განხილული უნდა იყოს პროექტთან დაკავშირებული რისკები და პროექტის მომზადებისათვის საჭირო შემდგომი დამატებითი კვლევები.<sup>20</sup>
- **პროექტის ფინანსური ხელმისაწვდომობის და ფისკალური რისკების წინასწარი შესწავლა (ფისკალური ნაწილი).** ამ შეფასებამ, სულ მცირე, უნდა განიხილოს შემოთავაზებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ზეგავლენა უფლებამოსილი ორგანოს ბიუჯეტზე პროექტის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, საჯარო დაფინანსების შემთხვევაში. თუკი შესაძლებელია, შეფასება უნდა განიხილავდეს ნებისმიერ საგარანტიო და ფისკალურ რისკს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნებისმიერ საჯარო

---

<sup>19</sup> ტექნიკურად, შემოსავლების გენერირება არ არის ეკონომიკური შეფასების ნაწილი, არამედ განიხილება საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელის ნაწილად ანუ კონცესიური თუ არაკონცესიური და განხორციელების გზებში უნდა იქნეს მოკლედ შეფასებული.

<sup>20</sup> პროექტის კონცეფციის ბარათში მოცემულია ცალკე ნაწილი პროექტის მართვის გეგმის ასახვისათვის, რომელიც ასევე მოიცავს, შემდგომი კვლევების იდენტიფიცირებას.

ვალდებულებასთან, რომელიც შესაძლებელს ხდის კერძო სექტორის  
მონაწილეობას პროექტში.

<b>მოთხოვნილი ინფორმაცია</b>	
<b>ა. ადმინისტრაციული ინფორმაცია</b>	
1. პროექტის დასახელება	
2. პროექტის აღწერა - ძირითადი მახასიათებლები და სსვარაუდო ინვესტიციის მოცულობა	
3. უფლებამოსილი წარმდგენი ორგანო	
4. პასუხისმგებელი პირი	
5. პროექტის ინიციატორი	
<b>ბ. სტრატეგიული ნაწილი</b>	
6. პროექტის არსი და საჭიროებების შეფასება/პრობლემის აღწერა	
7. ალტერნატივების ანალიზი	
8. სტრატეგიაში შეტანილი წვლილი (კონკრეტული პრობლემა, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი)	
<b>გ. ეკონომიკური ნაწილი</b>	
9. პროექტის ხარჯები	
10. პროექტის სარგებელი	
11. წინასწარი სოციალური ზემოქმედება	
12. წინასწარი გარემოსდაცვითი ზემოქმედება	
13. წინასწარი ეკონომიკური ზემოქმედება	
14. წვლილი სტრატეგიული განვითარების მიზანში	
15. პროექტის რისკები	
16. ეკონომიკური შესაბამისობა	

<b>დ. განხორციელება</b>	
17. შემოსავლის რეჟიმი	
18. განხორციელების სქემა	
19. სამაგალითო პროექტები	
<b>ე. ფისკალური ნაწილი</b>	
20. წინასწარი კომერციული შესწავლა	
21. სახელმწიფო მხარდაჭერა	
22. დამატებითი საბიუჯეტო მხარდაჭერა	
<b>ვ. პროექტის მართვის გეგმა</b>	
23. სპეციფიკური საკითხები	
24. დამატებითი კვლევები	
25. პროექტის ორგანიზება	
26. პროექტის გეგმა-გრაფიკი	